

საპროტეკტორო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

6 დეკემბერი, კვირა, 1987 წ. № 234 (9645) ფასი 8 კპბ.

# პასუხსაგები სტარტების წინ

1988 წლის სეზონში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს რამდენიმე დიდ შეჯიბრებაში მოუწევთ მონაწილეობა. მათ შორის არის ჯაბუკა მეორე საკავშირო საზამთრო და საზაფხულო ასპარეზობანი, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა მე-10 სპარტაკიადის ჩათვლაში შევა. ამ პასუხსაგები შეჯიბრების სამზადისის მიმდინარეობა განხილეს საქართველოს სსრ მე-10 საზაფხულო სპარტაკიადის, რესპუბლიკური ჯაბუკა და ახალგაზრდათა სპორტული ასპარეზობის მომწყობის, ჯაბუკა და ახალგაზრდათა საკავშირო ასპარეზობების, სსრ კავშირის მოსწავლეთა და ხალხთა სპარტაკიადების, 25-ე ოლიმპიური ასპარეზობისათვის მზადების საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე.

მოისმინეს საორგანიზაციო კომიტეტის წევრების — საქართველოს სპორტსაბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. დ. შუბლაძის, ამ კომიტეტის თავმჯდომარეთა მოადგილეების ჯ. ი. ბაგრატიონისა და ვ. ი. ლომაძის ინფორმაცია.

სხდომის მონაწილეებმა განიხილეს რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების, მთელი რიგი უწყება-სამინისტროების ამოცანები ახალგაზრდა სპორტსმენების წარმატებუ-

ლი გამოვლის უზრუნველსაყოფად ჯაბუკა მეორე საკავშირო საზაფხულო ასპარეზობაში, რომელიც ჩვენი ქვეყნის 23 ქალაქში გაიმართება. მრავალდღიანი ველობოლო მოეწყობა საქართველოს ტერიტორიაზე. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები თამაშებში 35-ვე სახეობაში გამოვლენ.

სეგრდოვსკის ჯაბუკა ზამთრის საკავშირო ასპარეზობაში რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას დაცვენ საქართველოს წარმომადგენლები პროგრამის ათი სახეობიდან ოთხში. სხდომის მონაწილეებმა ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ როგორ მოაწყონ ამ შეჯიბრებისათვის ფიგურისტების, ტრამპლინდან მსტრემელების, სათო მთხილამურეებისა და სათხილამურო რბოლის მონაწილეების შესაბამისი მზადება.

სხდომაზე გამოვიდა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ა. ჩხეიძე.


სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. მ. სირაძე.

(საქინფორმი).

## საკონკურსოდ წარადგინეს

დამთავრდა საკავშირო კონკურს-დათვალიერება, რომელიც ჩატარდა დევიზით: „არც ერთი ფიზკულტურული კოლექტივი სპორტული მოედნის გარეშე!“ საკავშირო კონკურს-დათვალიერებაზე საქართველოდან წარადგინოდა ზესტაფონის რაიონის, ქ. ზუგდიდისა და ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩიბათის ფიზკულტურული კოლექტივები.

კონკურს-დათვალიერების პერიოდში (1987 წლის 1 ივლისი — 1 ნოემბერი) სულ რესპუბლიკაში გაშენებულია 197 სპორტული მოედანი, მოეწყო ათობით სპორტული ოთახი, საჭიდაო არენა, ჯანმრთელობის ბაქანი და ა. შ.



## პროფკავშირების დიპლომატიკა ველოსპორტში

### სამი ეტაპის უეცადე

პანი (ტელეფონი). აქ მიმდინარეობს საქართველოს პროფკავშირების დიპლომატიკა მრავალდღიანი ველობოლოში. პირველი ეტაპი — 3 კილომეტრიანი პროფკავშირების წარმომადგენელმა გარი კეხბამ მოიგო. მანძილი მან 5 წუთსა და 50 წამში დაფარა.

მეორე ეტაპის მონაწილეები 45 კილომეტრიანი დისტანციაზე (დაყოფილი სტარტით) გამოვიდნენ. აქ საუკეთესო დრო დინამოელ თემურ გიგოლაევს ჰქონდა — 1:06.20.


## ნაკომპილაციო კანდიდატებს

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწკრივნი

# სტაბილურობას ასეთი უნდა

სპორტის ნებისმიერ სახეობაში ნაკრებში ადგილის დასამკვიდრებლად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ასპარეზობაში რამდენად სტაბილურ შედეგებს აჩვენებს ათლეტი. ამ მხრივ განსაკუთრებით მკაცრი შერჩევა წყალში მსტომელთა შორის ხდება. თუ სპორტსმენი ერთ რომელიმე შეჯიბრებაზე მთელი ძალით გაიბრწყინებს და დანარჩენ შეჯიბრებებს დაჩრდილავს, ეს ჯერ კიდევ ბევრს არაფერს ნიშნავს, მთავარია მან სტაბილურად მაღალი შედეგები აჩვენოს.

წლეულს საბჭოთა სპორტსმენებს მეტად დაძაბული სეზონი ჰქონდათ. ისინი მსოფლიო თასის გათამაშებისთვის, ევროპის ჩემპიონატისთვის და სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადისთვის ემზადებოდნენ. ნაკრებში მოსახვედრად სპორტსმენებს მრავალი სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუხდათ. მათ შორის, ვინც ყველა გამოცდა კარგად ჩააბარა, თბილისელი გიორგი ჩოგვაძეც იყო. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ამ ზამთარს ჯერ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე გამართულ საკავშირო პირველობაზე მითითდა ვერცხლის მედალი, მეორე ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატში აჯობა ყველას. ამ ასპარეზო-




ბას საერთაშორისო ტურნირი — „გაზაფხულის მერცხლები“ — მოჰყვა. გიორგიმ აქაც გაიმარჯვა და საბჭოთა ნაკრებში პირველ ნომრად დაიძ...

ნს. მ. 2 33

## დაჯილდოება

სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისთვის მომზადებისა და ამ ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებაში გაწეული დიდი მუშაობისთვის სსრ კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა საბატიო სიგელითა და სიგელებით დააჯილდოვა ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა და ხელმძღვანელთა დიდი ჯგუფი.



მოსკოვი. წყალში მსტომელთა საკავშირო თასის მატჩი იყო შეჯიბრების უმაღლესი წერტილი. მატჩი იქცა: ერთმანეთს შეხვდნენ ქართველი „დინამო“ და სამხედრო-სახლგო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის გუნდი. ეს მატჩი შედგა „ოლიმპიურის“ სპორტკომპლექსის აუზში, გაიმარჯვეს მეზღვეურებმა — 7:6.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა დაძაბულ ბაძოლაში მოუგეს ალმა-ათის დინამოელებს — 10:9.

საბატიო პრიზის ბედი დღეს გადაწყვიტა ტურნირის დასკვნით შეხვედრებში.

ოსლო. შვეციის ლია ჩემპიონატზე მაგდის ჩოგბურთში სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა ანგარიშით 1:3 წააგო საფრანგეთის გუნდთან. შევედრება მოუგეს ბულგარეთის სპორტსმენებს — 3:0, მა-სპინძელთა მეორე ნაკრებმა ანგარიშით — 3:1 დაამარცხა ბელგიის გუნდი, ხოლო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა — ინგლისის ნაკრები — 3:1.

ქალთა ტურნირზე ერთეულთა შორის საბჭოთა ჩოგბურთელმა ფ. ბულატოვამ მოუგო ჩინელ სპორტსმენს ლიუ ვეის — 21:17, 21:18, 21:18, ხოლო ე. კოვტუნმა — პ. პეტრსონს (შვეცია) — 21:6, 21:9, 21:7, მაგრამ ვ. პოპოვამ წააგო ჩინელი ციუნთან — 16:21, 18:21, 21:12, 11:21.

საზღვრო მატჩი

გუშინ თბილისში გაიმართა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა საწვრთნელი მატჩი. თბილისელთა მეტოქე ამჯერად იყო ბათუმის თანაკლებელთა გუნდი.

თამაში მოიგეს მასპინძლებმა — 2:0. ორივე ბურთი გაიტანა ფანცულაიამ.

თბილისის „დინამოს“ შემადგენლობა: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, სულაქველიძე, სვანაძე, ფირცხალავა, ქეილა, ქეილაძე (კორდელიძე), ცვიბია, გურული, ფანცულაია.

## გუშინ...

თბილისის სპორტის სახსლში გაიმართა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ახლოლტური ჩემპიონის სახელისათვის. ეს ტიტული მეოთხედ მოიპოვა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, თბილისელმა მალხაზ ბერაშვილმა.

# გიფვავთ ჭადრაკის უნივერსიტეტი


თბილისის ჭადრაკის სახსლში ხუთი წლის წინათ დაარსდა ჭადრაკის კულტურის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტი, რომელიც დღეს დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.

ახლახან უნივერსიტეტში დამთავრდა სასწავლო წელი. ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ უნივერსიტეტის რექტორს ალექსანდრე ზემდ-გენიძეს.

— უნივერსიტეტი ემსახურება ჭადრაკის დარგში უტარტიანი მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებას. გარდა ამის, ამზადებს ჭადრაკის პოპულარიზატორთა საზოგადოებრივ აქტივებს. — გვითხრა ბატონმა ალექსანდრემ.

— თუ შეიძლება, უფრო დავწვრილებით გვამბეთ უნივერსიტეტის მუშაობის შესახებ.

— უნივერსიტეტი შეიქმნა 1982 წელს. მას შემდეგ კურსდამთავრებულია ორი ნაკადი გამოუყვით. პირველი ნაკადის სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი იყო, მეორესი — 3. თავიდან აქცენტი თეორიულ მეცადინეობებზე იყო გადატანილი. შემდეგ დავრწმუნდით, რომ საჭი-



თბილისის სახელმწიფო ცირკში გრძელდება საქართველოს კომპოზიციის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე სოფლებისა და ქალაქების უბნების მეორე რესპუბლიკური პირველობა ქართულ ჭიდაობაში.

გუშინ მორიგი შეხვედრების დღე იყო. სარბიელზე გამოვიდნენ თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და გორის საუკეთესო ფალავნები. გუნდური შეჯიბრებაში თბილისელებმა აშკარა უპირატესობით მოუგეს ქუთაისის წარმომადგენლებს. შეხვედრის ანგარიშია 7:2. რუსთავისა და გორის ფალავნების შეხვედრაში გამარჯვება მეტალურგთა ქალაქის ფალავნებს დარჩათ — 5:4.

მომდევნო ასპარეზობა გაიმართება მომავალ შაბათს.

## ჭადრაკის უნივერსიტეტი

რო იყო მსმენელთა პრაქტიკულ დაოსტატებაზე გვეზრუნა. ამიტომ მეორე ნაკადის მომზადების დაწყებამდე წინასწარ შემუშავდა სემინარული მეცადინეობის თემატური გეგმა ფაკულტეტებისთვის, შეირჩა კვალიფიკაციური მასწავლებლები...

ჭადრაკის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შემდგომი საქმიანობის შესახებ რას გვეტყვი?

— სამწუხაროდ, დაწყებულელებების ხელმძღვანელთა უმეტესობა არ ცდილობს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი კოლექტივის საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩააბას,



ანგარიშს ახარავს დირექტორი

# გაგუდგებით რეზერვის ქიზაში

**თბილისის** ლენინური კომპანის სახელობის საწყობის კომპლექსი მთელს რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო სპორტული ბაზაა. იგი უცხოელ სპორტსმენთა და სპეციალისტთა შორისაც დიდი მოწონებით სარგებლობს. წყალბურთელობა თბილისის საერთაშორისო ტრადიციული ტურნირის, საბჭოთა და ამერიკელ წყალბურთეობის სამატჩო შეხვედრისა თუ სხვა შეჯიბრების მონაწილეთაგან არაერთხელ გვეხვია, ასეთ აუზში ვარჯიში და ასპარეზობა მულამ საინაოფერია.

ამ კომპლექსში ადრე დიდიდგან გვიან სადამომდე არ წყდება წყლის დგაფური. კომპლექსის ოთხივე აბანოში მულამ ხალხმრავლობაა.

ჩვენი აუზი თხუთმეტი საათის განმავლობაში შეუსვენებლად მუშაობს. გვეუბნება კომპლექსის დირექტორი ვლადიმერ გოიშვილი, — მისი გამტარისობა, პროექტული მონაცემებით, ერთდროულად 450 კაცია და ბაზა სათანადოდ არის ტექნიკური. 1979 წლიდან დღემდე 3002769 კაცს მოეწიებურეთ, ანუ წელიწადში საშუალოდ 385282-ს. კომპლექსი კვირბობითაც მუშაობს. აქ, გარდა იმისა, რომ სპორტსკოლების მოსწავლეები თუ ნაკრები გუნდების სპორტსმენები ვარჯიშობენ, გახსნილი გვაქვს მოსახლეობის ფასიანი მომსახურების ჯგუფები. მაგალითად, ცურვის შემსწავლელ ბავშვთა 144 ჯგუფში რბან 12 წლამდე ასაკის 2160 მოსწავლეა გაერთიანებული. აღნიშნულ ჯგუფში 2280 კაცი მეცადინეობს მონრდილობა (25 წლიდან) ჯანმრთელობის ჯგუფებში. სპორტულ-გამაჯანსაღებელ ჯგუფში გაერთიანებულია 8-დან 19 წლამდე ასაკის 780 მოზარდი, ჩვენიან მუშაობს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მიერ შექმნილი ბავშვთა ცურვის შემსწავლელი ჯგუფებიც. ამას გარდა, სამედიცინო აღდგენით ცენტრში შეიქმნა წყლის პროცედურებით მკურნალობის ჯგუფები (ასაკის შეზღუდვად). გვაქვს კოსმეტიკისა და მასაჟის კაბინეტები. წყულს ჩვენი ბაზის მომსახურების სფერო უფრო გაფართოვდა. მაგალითად, გაეხსენით ინვენტარის გამჭირავებელი პუნქტი, ჩვენს სპორტბაზაში კომპერატულ საწყისებზე ჩამოყალიბდა ათლეტური ტანვარჯიშის კლუბიც. ზაფხულის პერიოდში, ყოველ შაბათ-კვირას, ფილმებსაც ვუჩვენებთ. ასევე ზაფხულს ჰეროდში ვმასპინძლობთ მტრეთ წოდებულ ოჯახურ ჯგუფებს. რა თქმა უნდა, ყველა ეს

ჯგუფი, სექცია თუ კაბინეტი კომპლექსის პირველი დიდიანევი არ გაგვიხსნია. ნილდა რეზერვისა და საშუალებების ძებნაში ვიყავით და ვართ. ყველა საკითხისა თუ პრობლემის გადაჭრას დემოკრატიული პრინციპით ვუდგებით.

**© სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ორგანიზაციების, და არა მხოლოდ მისთვის, დიდი მნიშვნელობა აქვს რეზერვის ამოქმედებას.** თქვენი ნაამბობის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ აქ კიდევ რაიმე რეზერვის გამოქმენა ძნელი და იქნებ შეუძლებელიც კია. და მაინც, კიდევ ხომ არ გუფლებათ რაიმე რეზერვი?

— ნათქვამია, თუ კაცი მიონდომებს... კიდევ არის მცირე რე-

ზარდობებს აბარებენ. თავდაირველად ჩვენი მართლაც ბევრს ეხმარება. გასახდელის ამგვარი მუშაობა, მაგრამ ახლა ეს უხერხულად აღარავის ეჩვენება. ასე მოწყობილი გასახდელი მრავლად არაგორც ჩვენი ქვეყნის, ისე უცხოეთის აუზებზე.

**© რაიმე სახლდე კიდევ ხომ არ არის მოხლოდენილი თქვენს კომპლექსში?**

— ნათქვამია, ზოგი კირი მარგეტლიაო. თეთრეულს სამრეცხაოებში ვაბარებთ, მაგრამ იქ ზოგჯერ წინააღმდეგობები გვხვდება. ახლა გადაწყვიტეთ საკუთარი სამრეცხო გაეხსნათ და სხვისი შემყურე აღარ ვიყოთ. მართალია, ჯერჯერობით საამისო ადგილი ვერ

ხსენებთ, აუზებზე კომუნალური გადასახდების ფასები გაიზარდა, რამაც, თავისთავად, აბონემენტებიც უნდა გააძვიროს. საკითხი უკვე დავსვით, მაგრამ ჯერჯერობით პრობლემა გადაუჭრელია.

**© ეტყობა, ზამთრის სეზონისთვის ბაზა კარგად მომზადებულია. ხომ არ არის იხეთი რამ, რასაც ჩვენ ვერ ვაძინებთ, მაგრამ მომავალში კი ხელს შეგიშლით?**

— გათბობა დროულად დაიწყეთ. ყოველგვარი პირობა შექმნილია, რომ ჩვენი ჯგუფების წევრები უქმყოფილონი არ დარჩნენ. მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ სარემონტო სამუშაოები ვაჭიანურდა. ამ სამუშაოებს ქალაქის საბუღოსთან არსებული საბურთალოს საემონტო-სამშენებლო უბანი ახორციელებდა. წინათ ქალაქის სპორტკომიტეტთან სარემონტო უბანი მოქმედებდა. რასაც ჩვენი ძალეებით ვერ ვახერხებდით, ის დროულად და ხარისხიანად აკეთებდა. სამუშაოდ, ეს სარემონტო უბანი გაუქმდა.

**© თქვენს კომპლექსში, რამდენადაც ვიცით, მექანიკური, დასაშლელ-ასაწყობი სცენა უნდა დამონტაჟებულიყო, რასაც ჯერჯერობით ვერ ვხედავთ.**

— დაახ, საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ამ სცენის დამონტაჟება წლეულს ზაფხულში უნდა დამთავრებულიყო. ამის შესახებ ქალაქის საბჭოს ოთხი განკარგულება არსებობს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტშიც იყო თათბირი და პრობლემის გადაწყვეტა კულტურის სამინისტროს ეთხოვა. უფრო ზუსტად, მონტაჟი ამ სამინისტროს ექსპერიმენტულ ლაბორატორიას უნდა განეხორციელებინა, მაგრამ ჯერჯერობით საკითხი მოუგვარებელია.

**© სხვა რა პრობლემებია გადასაჭრელი?**

— საქირთა იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც ჩვენი ბაზით სარგებლობენ, იჭარის დროულად გადაიხადონ. იჭარის გადაუხდელობა ხელს უშლის ჩვენი კომპლექსის ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებას.

**© რაკი ფინანსურ საკითხებს შევეხეთ, საინტერესოა, ამ მხრივ წლეულს როგორია საქმე?**

— წლეულს, 9 თვის გვეგით, შემოსავალი 524,6 ათასი მანეთი უნდა ყოფილიყო. ფაქტიურად ამ თანხამ 537,6 ათასი შეადგინა. მოგება 13 ათასი მანეთი გამოვიდა. წლის ბოლომდე, ცხადია, მოგება გაიზარდება.

შაუბარი ჩაიწერა  
პატიანდილ გუპარსაშვილი.



ზერვი, რომელსაც წლის ბოლოსთვის ავამოქმედებთ. მოგვხსენებთ, ჯანმრთელობის ჯგუფებში მოხვედრის მსურველი უამრავია, მაგრამ ყველას ვერ ვაკმაყოფილებთ. ამ ჯგუფების წევრება ახლა კვირაში ოთხჯერ მეცადინობენ. გადაწყვეტილი გვაქვს წლის ბოლოდან ისინი კვირაში სამდღიან ვარჯიშზე გადავიყვანოთ. ეს საშუალებას მოგვცემს მომეცადინეთა რაოდენობა 1000 კაცით გაზარდოთ.

**© წლეულს გასახდელის მუშაობის სისტემის შეცვლა, კერძოდ, კარადების გაუქმება, აუზზე მოხსვლელთა ერთი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვიდა...**

— სხვათა შორის, ესეც გამოჯანსაღებელ ჯგუფებში მომეცადინეთა რაოდენობის გაზრდის სურვილით იყო ნაკარნახევი. ბუნებრივია, რამდენი კარადაც იყო, სავარჯიშოდ იმდენი კაცი შედიოდა. არადა, კარადები დიდ ადგილს იკავებდნენ. ახლა ჩვენი სტუმრები ტანსაცმელს სპეციალურად დამზადებულ საკიდებზე ჯიღებენ და მე-

გამოენახეთ, მაგრამ რაღაცას მოგახეჩებთ. მაშინ ჩვენი სამრეცხაო მოქალაქეებსაც მოემსახურება, ეს კი კომპლექსს დამატებით შემოსავალს მისცემს, მოსახლეობა დროს დაზოგავს.

**© ამბობენ, კომპლექსში აბონემენტების ფასი უნდა გაიზარდოს, მართალია? და კიდევ, შეესაბამება თუ არა თქვენი მომსახურების დონე იმ საფასურს, რომელსაც აქ იხდიან?**

— აბონემენტებისა და სხვა ფასიანი მომსახურების ღირებულება დამტკიცებულია საქართველოს სპორტკომიტეტის 1976 წლის ბრძანების (№ 545) საფუძველზე, რომელიც დღემდე არ შეცვლილა. ვფიქრობთ, რომ სხვადასხვა კატეგორიის აუზებში მომსახურების ღირებულებაც უნდა განსხვავდებოდეს. ჩვენი კომპლექსი უმაღლესი კატეგორიისა და ამიტომ მომსახურების ფასებიც უნდა გაიზარდოს. ჩვენი მომსახურების დონეც ამაღლდა, მეტი კომფორტი შეიქმნა და შემდგომ კიდევ გაუუმჯობესებთ. ამას გარდა, მოგე-

**პატივსაცემი ანგარიში**  
ანგარიში კარგობის მატანი მადრაქში  
გმადლობთ ჩემთვის  
სახელების

## გაგუდგებით პარტია

მეტოქეებმა კვლავ ლაზიერის გამბიტს მიმართეს. მსოფლიო ჩემპიონმა მეტად საინტერესო და მოულოდნელი ვარჯიშობა აირჩია — 11. 0-0 ითამაშა. კარგობს შეეძლო ზედმეტი ფიგურა შეენარჩუნებინა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონის შეტევა უფრო და უფრო მწვავე ხდებოდა. ამიტომ კარგობმა თავი აარიდა ყოველგვარ გართულებებს და ფიგურის შენარჩუნებაზე არ წავიდა. პოზიცია თანდათანობით გათანაბრდა და მას შემდეგ რაც დაფაზე ლაზიერის ენდშვილი წარმოქმნა, მეტოქეები დაზავდნენ.

ამრიგად, მატჩის ანგარიში კვლავ თანაბარია — 10:10.

მომდევნო ოცდამეერთე პარტია

რეგლამენტით ხვალ უნდა გათამაშდეს.

## ბ. კასპაროვი — ა. კარკოვი

**ლაზიერის ბავშობი**

1. c4 e6 2. d3 d5 3. d4 e7 4. f3 f6 5. e2 0-0 6. g5 c5 7. dc dc 8. e4 ლა5 9. e5 md5 10. c3 d:c3 11. 0-0 ლა5 12. ლ:c3 d:c6 13. j:e7 ლ:e7 14. a3 jd7 15. jacl jfd8 16. b4 a6 17. m3 j:e8 18. kd3 a7 19. jh1 jc6 20. მე5 h6 21. მე4 bh5 22. jc4 j:e4 23. j:e4 jac8 24. j:c8 j:e8 25. jc1 j:c1+ 26. ლ:c1 ld7 27. g3 h6 28. მედ2 ld8 29. h4 a5 30. ba ba 31. ლ:c5 md4 32. h5 f5 33. jh7 მე7 34. მეh2 ლh8 35. ლ:d4 ლ:h7 36. g4 ლf3 37. ld7+ მე7f8. ყაიმი.

**მოკლედ**  
სტაერად  
ანდარგოდ კლუბი

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი მიიწვიეს კალინინის რაიონის ახალგაზრდული

კლუბის წევრებმა კლუბს, რომელიც 66-ე და 68-ე საბინაო-საექსპლუატაციო უბნებთან შეიქმნა, მკველა კენჭამდელი და ლამარა მარჯობაში იყო დასაჯული. სახელოვან მოჭადრაკისთან საინტერესო საუბრის შემდეგ გაიმართა ერთდროული თამაშის სეანსი 30 დაფაზე.

# გიფვეთ ჭადრაკის უნივერსიტეტი

დასასრული

ამიტომ ისინი თავიანთი ინიციატივით იწყებენ საზოგადოებრივ საქმიანობას.

რექტორატის დავალებით, უნივერსიტეტის მსმენელმა მარლენ აბაზოვმა თარგმნა მეთოდური სახელმძღვანელო, საქარაკო წრის მასწავლებლისთვის. თარგმანი კურსდამთავრებულებსა და მსმენელებს დაურთიდა.

**© ჭადრაკის უნივერსიტეტი ჩვენი დიდი პოპულარობით სარგებლობს, რამ განაპირობა მისი ასეთი ავტორიტეტი?**

— ალბათ გააზრებულმა სასწავლო პროგრამამ, მეცადინეობების სტაბილურობამ და ორგანიზებულიობამ, ლექტორთა მაღალმა დონემ და მიზანდასახულმა მუშაობამ.

ლექტორებს, რომელთა შორის სახელოვანი დიდოსტატები არიან, შეხვედრებს ვუვგვამეთ რესპუბლიკის ქალაქების, რაიონებისა და ცალკეული ორგანიზაციების ჭადრაკის მოყვარულებთან.

**© ჩვენი ქვეყნის კიდევ რომელ ქალაქებში დაარსდა ჭადრაკის უნივერსიტეტი?**

— რიგში, კრასნოდარსა და სოკში, მაგრამ მათი საქმიანობა უფრო ლექტორიუმს ჰგავს. მოსკოვის ცენტრალურ საქადრაკო კლუბშიც სურთ საქადრაკო უნივერსიტეტი დააარსონ. ისინი გაეცნენ ჩვენს გამოცდილებას.

**© როგორ დაკომპლექტდება მო-**

მავალი სასწავლო წლის ახალი კონტინენტი და რა სახლებების დანერგვა ვაქვთ განზრახული?

— უკვე დაიწყო უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველთა განცხადებების მიღება.

ახალი სასწავლო წლიდან, ადრე არსებულ ინსტრუქტორ-ორგანიზატორთა ფაქულტეტებს გარდა, რომლის მსმენელებში პროფესიულ კვალიფიკაციას იმდენად ღრუნენ, გახსნება კიდევ ორი — ჭადრაკის მწვრთნელ-მასწავლებელთა და ჭადრაკის ორგანიზატორთა დახელოვნების ფაქულტეტები.

ჭადრაკის მწვრთნელ-მასწავლებელთა დახელოვნების ფაქულტეტზე ჩარიცხვებიან მწვრთნელები, რომელთაც არა აქვთ სპეციალური განათლება.

სახალხო უნივერსიტეტის მსმენელებს, რომლებიც წარჩინებით დამთავრებენ უნივერსიტეტს და რომელთაც ექნებათ სათანადო მონაცემები, სახალხო უნივერსიტეტის სამეცნიერო მეთოდური საბჭოს შუამდგომლობით მიენიჭებათ მწვრთნელის სატარიფიკაციო კატეგორიები.

ორგანიზატორთა დახელოვნების ფაქულტეტზე ჩარიცხვებიან რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ჭადრაკის კლუბების გამგეები. უნივერსიტეტის მსმენელები სწავლების დასასრულს გაივლიან სათანადო საკვალიფიკაციო კომისიას.

სწავლების ხანგრძლივობა ოთხივე ფაქულტეტზე 2 წელია.

მეცადინეობები ჩატარდება ყოველი თვის ბოლო შაბათ დღეს და კვირას. საჭიროების შემთხვევაშიც ლექციო ფაქულტეტებისთვის ან მთლიანად უნივერსიტეტის მსმენელებისთვის მოეწყობა დამატებითი მეცადინეობები.

ახალი სასწავლო წლიდან უნივერსიტეტის ყველა ფაქულტეტზე სწავლება ფასიანი იქნება — სრული კურსის მოსამსენად მსმენელმა 100 მანეთი უნდა გადაიხადოს.

ამ გადასახადს იხდის ან თვითონ მსმენელი ან მიმავლინებელი ორგანიზაცია.

იმ შემთხვევაში, თუ სწავლის გადასახადს ორგანიზაცია ვადათმობს, შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს თანხის გადახდელი და შუამდგომლობას ხელს უნდა აწერდეს თანხის განმკარგულებელი და მთავარი ბუღალტერი.

უნივერსიტეტში სწავლის მსურველებმა მიმდინარე წლის 15 დეკემბრამდე უნდა წარმოადგინონ კანცხადება ჭადრაკის ფულტურის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტის რექტორის სახელზე, დახასიათება სამსახურიდან, შუამდგომლობა-რეკომენდაცია, ჭადრაკში სპორტული თანრიგის ცნობა (თუ არა თქმა უნდა, აგი აქვს), სამი ფორსურათი (3X4). მეცადინეობები გაგრძელდება მისამდე.

ესაუბრა პასილ ვაშაძემ.







კვირის განმარტება

კვირის განმარტება... 1 დეკემბერი... 29 ნოემბერი...

მწვრთნელთან ვეგენი უკრებულის... 1 დეკემბერი... 2 დეკემბერი...

პარკაპაზი... ახლანდელ სოხუმის მახლობლად... 1 დეკემბერი...

ელ 8. მგვX. შამათი დაბმული... შერევაზე განიხილეს აგრეთვე...

ხელმძღვანელი შამათი... 1. ლხ7 (მუქარით 2. ლ7+). თე...

ილა... ჯანმრთელობის... სამსახურში... დახასრული... 1 კგ თაფლის შემადგენლობაში...

ვა. სტიმულს აძლევს სისხლის წითელი ბურთულა... 30-40 მგ-მდე C ვიტამინი...

6. კარლინი, O. პრინცი, 1987... შამათი დაბმული... შერევაზე განიხილეს აგრეთვე...

შამათი დაბმული... შერევაზე განიხილეს აგრეთვე ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიებები...

შამათი 2 ხელაში... ველით თქვენს პასუხებს, ძვირფასო მეგობრებო!

1 კგ თაფლის შემადგენლობაში... 0,1 მგ-მდე B1 ვიტამინი... 1,5 მგ-მდე B2 ვიტამინი...

1 კგ თაფლის შემადგენლობაში... 0,1 მგ-მდე B1 ვიტამინი... 1,5 მგ-მდე B2 ვიტამინი...

„სპორტპროგრესი“ მოყვარულთა... საქართველოს სპორტპროგრესი... 1988 წლის 2-ე ტომის განმარტება...

„სპორტპროგრესი“ მოყვარულთა... საქართველოს სპორტპროგრესი... 1988 წლის 2-ე ტომის განმარტება...

„სპორტპროგრესი“ მოყვარულთა... საქართველოს სპორტპროგრესი... 1988 წლის 2-ე ტომის განმარტება...

Table with 2 columns: Book Title, Price. Includes titles like 'სპორტპროგრესი' and 'სპორტპროგრესი'.

Table with 2 columns: Book Title, Price. Includes titles like 'სპორტპროგრესი' and 'სპორტპროგრესი'.

Table with 2 columns: Book Title, Price. Includes titles like 'სპორტპროგრესი' and 'სპორტპროგრესი'.

Table with 2 columns: Book Title, Price. Includes titles like 'სპორტპროგრესი' and 'სპორტპროგრესი'.

Table with 2 columns: Book Title, Price. Includes titles like 'სპორტპროგრესი' and 'სპორტპროგრესი'.